ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხომის

ოქმი № 14

ქ. თბილისი 26 დეკემბერი 2022 წელი

სხდომა გახსნა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 30 წევრი

სხდომას ესწრებოდა 24 ხმის უფლების მქონე წევრი

დღის წესრიგი

1. თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაში ცვლილებების შესახებ

/ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ. საბაური/

2. თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამაში ცვლილებების შესახებ

/ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ. საბაური/

3. ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსებში ცვლილებების შესახებ

/ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ. საბაური/

4. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში ცვლილებების შესახებ

/ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ. საბაური/

5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დასაფინანსებლად კონკურსის პირობების და ჩატარების წესში ცვლილებების შესახებ

/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ.ლობჟანიძე/

6. მდგრადი განვითარების კვლევითი ცენტრის დებულების პროექტის დამტკიცების შესახებ

/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ.ლობჟანიძე/

7. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში ცვლილებების შესახებ

/საბჭოს თავმჯდომარე, დეკანი, პროფესორი გიორგი ღაღანიძე/

8. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა-დამტკიცების შესახებ

/საბჭოს თავმჯდომარე, დეკანი, პროფესორი გიორგი ღაღანიძე/

9. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის, დეკანის, პროფესორ გიორგი ღაღანიძის ინფორმაცია საბჭოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

აზრი გამოთქვეს: ასოცირებულმა პროფესორმა მანანა ლობჟანიძემ მოითხოვა დღის წესრიგში საკითხის დამატება:

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ.

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს, წარმოდგენილი დღის წესრიგი ცვლილების გათვალისწინებით:

1. თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაში ცვლილებების შესახებ

/ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ. საბაური/

2. თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამაში ცვლილებების შესახებ

/ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ. საბაური/

3. ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსებში ცვლილებების შესახებ

/ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ. საბაური/

4. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში ცვლილებების შესახებ

/ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ. საბაური/

5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დასაფინანსებლად კონკურსის პირობების და ჩატარების წესში ცვლილებების შესახებ

/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ.ლობჟანიძე/

6. მდგრადი განვითარების კვლევითი ცენტრის დებულების პროექტის დამტკიცების შესახებ

/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ.ლობჟანიძე/

7. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ.

/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ.ლობჟანიძე/

8. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში ცვლილებების შესახებ

/საბჭოს თავმჯდომარე, დეკანი, პროფესორი გიორგი ღაღანიძე/

9. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა-დამტკიცების შესახებ

/საბჭოს თავმჯდომარე, დეკანი, პროფესორი გიორგი ღაღანიძე/

10. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაში ცვლილებების შესახებ

/ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ. საბაური/

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, პროფესორმა ლ. საბაურმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაში მომართვების საფუძველზე განსახორციელებელი ცვლილებები:

- არჩევით სასწავლო კურსს დაემატა ახალი სასწავლო საგანი **„გარემოს დაცვის ეკონომიკა“**

საფუძველი: არჩევითი სასწავლო კურსების სპექტრის გამრავალფეროვნება, გარემოს დაცვის ეკონომიკის საკითხებისადმი გაზრდილი ინტერესი სტუდენტების მხრიდან.

აღნიშნული კურსი ხორციელდება პარტნიორ CERGE-EI უნივერსიტეტთან ერთად და საგანი დაემატა საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით.

- სავალდებულო სასწავლო კურსებში **„მიკროეკონომიკა 1“ და „მიკროეკონომიკა 2“** მოხდეს კურსის მიზნების, შედეგების, ნაწილობრივ კურსის შინაარსის სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის უახლესი გამოცემებით განახლება კურსის სილაბუსის თემატიკის შესაბამისად. შესაბამისად მოხდა საბჭოს რეკომენდაციების გათვალისწინება.
- აღნიშნულ ორ კურსში ლექტორი ლაშა ლაბაძე შეიცვლილოს ასისტენტ-პროფესორით - თეიმურაზ გოგსაძე.

საფუძველი: ფაკულტეტის საბჭოს წევრთა მოსაზრებები/შენიშვნები მიკროეკონომიკის კათედრის პროფილის შესაბამის რამდენიმე სილაბუსზე.

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 24

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს, თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაში წარმოდგენილი განსახორციელებელი ცვლილებები.

მოისმინეს:თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაში ცვლილებების შესახებ

/ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ. საბაური/

- შეიცვალოს არჩევითი (თავისუფალი) სასწავლო კურსის **,,ეკონომიკის საკითხები“** სახელწოდება და გახდეს **„შესავალი ეკონომიკაში"**, ასევე მოხდეს კურსის შინაარსის და სავალდებულო ლიტერატურის რედაქტირება უახლესი გამოცემებით კურსის სილაბუსის თემატიკის შესაბამისად.

საფუძველი: ფაკულტეტის საბჭოს წევრთა მოსაზრებები/შენიშვნები, რეკომენდაციები მიკროეკონომიკის კათედრის პროფილის შესაბამის სილაბუსზე.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა: თ.შენგელიამ, ე.მექვაბიშვილმა

გაიმართა კენჭისყრა, მომხრე - 8

წინააღმდეგი-11

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო -5

საკითხი არ დამტკიცდა

მოისმინეს: თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამაში ცვლილებების შესახებ

/ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ. საბაური/

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, პროფესორმა ლ. საბაურმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამაში მომართვების საფუძველზე განსახორციელებელი ცვლილებები:

- არჩევით სასწავლო კურსში **„სავაჭრო პოლიტიკა“** მოხდა კურსის შინაარსის განახლება, სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის უახლესი გამოცემებით განახლება კურსის სილაბუსის თემატიკის შესაბამისად. მოხდა საბჭოს რეკომენდაციების გათვალისწინება.

საფუძველი: ფაკულტეტის საბჭოს წევრთა მოსაზრებები/შენიშვნები მიკროეკონომიკის კათედრის პროფილის შესაბამის სილაბუსზე.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა თ.შენგელიამ

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 19

წინააღმდეგი - 3

დაადგინეს: დამტკიცდეს, თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამაში წარმოდგენილი **განსახორციელებელი ცვლილებები წარმოდგენილი სახით.**

მოისმინეს: ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსებში ცვლილებების შესახებ

/ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ. საბაური/

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, პროფესორმა ლ. საბაურმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში განსახორციელებელი ცვლილებები:

- საგანში **„ეკონომიკური განვითარება“** შეიცვალოს შუალედური და დასკვნითი გამოცდის ჩატარების წესი. როგორც შუალედური, ასევე ფინალური გამოცდა ჩატარდეს საგამოცდო ცენტრის ნაცვლად კომპიუტერულ რესურს-ცენტრში. საგამოცდო ბილეთში ნაცვლად 15 ტესტისა და ერთი თეორიული საკითხისა მოცემული იქნება 20 ტესტი. დასკვნით

გამოცდაზე ნაცვლად 30 ტესტისა და 2 თეორიული საკითხისა მოცემული იქნება 40 ტესტი.

საფუძველი: სასწავლო კურსების სილაბუსების განახლება/გადამუშავება.

- საგანში **„სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკა"** შეიცვალოს შუალედური და დასკვნითი გამოცდების ხანგრძლივობა - შუალედური გამოცდის ჩასაბარებლად განკუთვნილი დრო 40 წუთი, დასკვნითი გამოცდის ჩასაბარებლად - 1 სთ და 20 წუთი, აგრეთვე დაზუსტდა გამოცდების ჩატარების ფორმატი.შუალედური და საბოლოო გამოცდა ჩატარდეს ტესტური ფორმით.

  საფუძველი: სასწავლო კურსების სილაბუსების განახლება/გადამუშავება.

აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 24

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში განსახორციელებელი ცვლილებები.

მოისმინეს: ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამებში ცვლილებების შესახებ

/ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ. საბაური/

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, პროფესორმა ლ. საბაურმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, ბიზნესის ადმინისტრირების **საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში** მომართვების საფუძველზე განსახორციელებელი ცვლილებები შემდეგ სასწავლო კურსების სილაბუსებში:

- **„ინფორმატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში"** - შუალედურ და დასკვნით გამოცდაში დაემატოს ტესტური გამოცდების ჩასატარებელი პროგრამა TEGAPRO 7;
- **„ეკონომიკასა და ბიზნესში მონაცემთა ბაზების დაპროექტება და მართვა"** - შუალედური და დასკვნითი გამოცდის ჩასაბარებლად განკუთვნილი დრო შეიცვალოს 40 წთ და 60 წთ. შუალედურ და დასკვნით გამოცდაში დაემატოს ტესტური გამოცდების ჩასატარებელი პროგრამა TEGAPRO 7;

- **„ეკონომიკური საინფორმაციო სისტემების თეორია და დაპროექტება“**- შუალედურ და დასკვნით გამოცდას დაემატოს ტესტური გამოცდების ჩასატარებელი პროგრამა TEGAPRO 7;
- **„საინფორმაციო სისტემები და ტექნოლოგიები ბიზნესში“** - შუალედური და დასკვნითი გამოცდის ჩასაბარებლად განკუთვნილი დრო შეიცვალოს 45 წთ და 65 წთ. შუალედურ და დასკვნით გამოცდაში დაემატოს ტესტური გამოცდების ჩასატარებელი პროგრამა TEGAPRO 7;
- **„ფირმის მონაცემების ელექტრონული დამუშავება“** - შუალედური და დასკვნითი გამოცდის ჩასაბარებლად განკუთვნილი დრო შეიცვალოს 45 წთ და 65 წთ. შუალედურ და დასკვნით გამოცდაში დაემატოს ტესტური გამოცდების ჩასატარებელი პროგრამა TEGAPRO 7;
- **„C++ პროგრამირება ეკონომიკასა და ბიზნესში“**- შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე ეწერა ჩასატარებელი პროგრამა TEGAPRO და ჩანაცვლდეს კომპიუტერზე მუშაობა პედაგოგთან და საგამოცდო ცენტრთან ერთად;
- **„Eng - Informatics In Economics and Business“** - შუალედური და დასკვნითი გამოცდის ჩასაბარებლად განკუთვნილი დრო შეიცვალოს 60 წთ და 90 წთ;
- **„ბიზნეს მონაცემთა ანალიტიკა Excel-ის გარემოში“** - შუალედური და დასკვნითი გამოცდის ჩასაბარებლად განკუთვნილი დრო შეიცვალოს 40 წთ და 80 წთ. შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე დაემატოს კომპიუტერზე გამოცდა პედაგოგთან და საგამოცდო ცენტრთან ერთად; **„ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება VB.NET“**- შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე დაემატოს კომპიუტერზე გამოცდა პედაგოგთან და საგამოცდო ცენტრთან ერთად.
- განახლდეს სასწავლო კურსის **,,ბიზნეს სამართლი“** სილაბუსი - შეიცვალოს საგნის დასახელება ნაცვლად "ბიზნესის სამართალი" გახდეს "ბიზნეს სამართალი".მომზადდა რიდერი არაიურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის და შესაბამისი სასწავლო მასალის ასახვა მოხდა განახლებულ სილაბუსში, შესაბამისად ცვლილებები მოხდეს თემების თანმიმდევრობაში,

საფუძველი: სასწავლო კურსების სილაბუსების განახლება/გადამუშავება.

საფუძველი: სასწავლო კურსების სილაბუსების განახლება/გადამუშავება.

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 24

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს, ბიზნესის ადმინისტრირების **საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში** სასწავლო კურსების სილაბუსებში განსახორციელებელი ცვლილებები

მოისმინეს: ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამებში ცვლილებების შესახებ

/ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ. საბაური/

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, პროფესორმა ლ. საბაურმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, ბიზნესის ადმინისტრირების **სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში** მომართვების საფუძველზე განსახორციელებელი ცვლილებები სასწავლო კურსების შემდეგ სილაბუსებში:

- **საბანკო საინფორმაციო სისტემები** - შეფასების მეთოდებში დასწრების 7 ქულიდან 6 ქულა დაემატოს აქტივობის ქულას და 1 ქულა რეფერატს. შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე ჩაემატოს კომპიუტერზე გამოცდა მხოლოდ პედაგოგის თანდასწრებით;
- **ფირმის ინფორმაციის დაცვისა და უსაფრთხოების მართვის ტექნოლოგიები** - შეფასების მეთოდებში დასწრების 7 ქულა დაემატოს აქტივობის ქულას და გახდეს 31 ქულა. შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე ჩაემატოს კომპიუტერზე გამოცდა მხოლოდ პედაგოგის თანდასწრებით;
- **ბიზნესში მონაცემთა ანალიზი და მოდელირება Excel-ისა და SPSS-ის გარემოში**-შუალედური და დასკვნითი გამოცდის ჩასაბარებლად განკუთვნილი დრო შეიცვალოს 40 წთ და 80 წთ. შეფასების მეთოდებში დასწრების 5 ქულა დაემატოს აქტივობის ქულას და გახდა 25 ქულა. შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე ჩაემატოს კომპიუტერზე გამოცდა მხოლოდ პედაგოგის თანდასწრებით;
- **ინფორმაციული მენეჯმენტი** - შუალედური და დასკვნითი გამოცდის ჩასაბარებლად განკუთვნილი დრო შეიცვალოს და გახდეს 40 წთ და 65 წთ. დასწრების 6 ქულა გადაკეთდეს სემინარულ/პრაქტიკულ მეცადინეობებზე აქტივობად და აქტივობის 24 ქულა გახდეს სემინარულ/პრაქტიკული მეცადინეობების შეფასება. შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე ჩაემატოს კომპიუტერზე გამოცდა მხოლოდ პედაგოგის თანდასწრებით;
- **ინფორმაციული ტექნოლოგიები პროექტების მართვა** - შეფასების მეთოდებში დასწრების 5 ქულა დაემატოს აქტივობის ქულას და გახდა 25 ქულა. შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე ჩაემატოს კომპიუტერზე გამოცდა მხოლოდ პედაგოგის თანდასწრებით;

- **ინფორმაციული ტექნოლოგიები საბაჟო სისტემის მართვა** - შუალედური და დასკვნითი გამოცდის ჩასაბარებლად განკუთვნილი დრო შეიცვალოს და გახდეს 40 წთ და 80 წთ. შეფასების მეთოდებში დასწრების 5 ქულა დაემატოს აქტივობის ქულას და გახდეს 25 ქულა. შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე ჩაემატა კომპიუტერზე გამოცდა მხოლოდ პედაგოგის თანდასწრებით;
- **ინფორმაციული ტექნოლოგიები საგადასახადო საქმიანობის მართვაში** - შუალედური და დასკვნითი გამოცდის ჩასაბარებლად განკუთვნილი დრო შეიცვალოს და გახდეს 40 წთ და 80 წთ. შეფასების მეთოდებში დასწრების 5 ქულა დაემატოს აქტივობის ქულას და გახდეს25 ქულა. შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე ჩაემატა კომპიუტერზე გამოცდა მხოლოდ პედაგოგის თანდასწრებით;
- **კვლევის მეთოდები ინფორმაციულ მენეჯმენტში** - შუალედური და დასკვნითი გამოცდის ჩასაბარებლად განკუთვნილი დრო შეიცვალოს და გახდეს 40 წთ და 60 წთ. შეფასების მეთოდებში დასწრების 5 ქულა დაემატოს აქტივობის ქულას და გახდეს 20 ქულა. შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე ჩაემატოს კომპიუტერზე გამოცდა მხოლოდ პედაგოგის თანდასწრებით;
- **საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი** - შეფასების მეთოდებში დასწრების 7 ქულიდან 6 ქულა დაემატოს აქტივობის ქულას და 1 ქულა რეფერატს. შუალედურ და დასკვნით გამოცდაში დაემატოს ტესტური გამოცდების ჩასატარებელი პროგრამა TEGAPRO 7;
- **საწარმოს რესურსები მართვის სისტემა**- შეფასების მეთოდებში დასწრების 7 ქულა დაემატოს აქტივობის ქულას და გახდეს 31 ქულა. შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე დაემატოს კომპიუტერზე გამოცდა პედაგოგთან და საგამოცდო ცენტრთან ერთად;
- **ქსელური ეკონომიკა** - დასწრების 6 ქულა გადაკეთდეს სემინარულ/პრაქტიკულ მეცადინეობებზე აქტივობად და აქტივობის 24 ქულა გახდეს სემინარულ/პრაქტიკული მეცადინეობების შეფასება. შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე ჩაემატოს კომპიუტერზე გამოცდა მხოლოდ პედაგოგის თანდასწრებით;
- **მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები და თანამედროვე აპლიკაციები ბიზნესში**- შუალედური და დასკვნითი გამოცდის ჩასაბარებლად განკუთვნილი დრო გახდეს 1 სთ და 2 სთ. შეფასების მეთოდებში დასწრების 5 ქულა დაემატოს აქტივობის ქულას და გახდეს 25 ქულა. შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე ჩაემატოს კომპიუტერზე გამოცდა მხოლოდ პედაგოგის თანდასწრებით;

- **WEB ტექნოლოგიები ბიზნესში** - შეფასების მეთოდებში დასწრების 7 ქულა დაემატოს აქტივობის ქულას და გახდეს 31 ქულა. შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე ჩაემატოს კომპიუტერზე გამოცდა მხოლოდ პედაგოგის თანდასწრებით;
- **კლიენტ-სერვერული ტექნოლოგიები ბიზნესში** - შეფასების მეთოდებში დასწრების 7 ქულა დაემატოს აქტივობის ქულას და გახდეს 31 ქულა. შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე ჩაემატოსკომპიუტერზე გამოცდა მხოლოდ პედაგოგის თანდასწრებით.

საფუძველი: სასწავლო კურსების სილაბუსების განახლება/გადამუშავება.

საფუძველი: სასწავლო კურსების სილაბუსების განახლება/გადამუშავება.

აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 24

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, **ბიზნესის ადმინისტრირების** სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კურსების სილაბუსებში განსახორციელებელი ცვლილებები წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დასაფინანსებლად კონკურსის პირობების და ჩატარების წესში ცვლილებების შესახებ

/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ.ლობჟანიძე/

დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა მ.ლობჟანიძემ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დასაფინანსებლად კონკურსის პირობების და ჩატარების წესში ცვლილებები ,რომელიც საბჭოს წევრებს წინასწარ დაეგზავნათ.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა თ.შენგელიამ

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები, მომხრე -24

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დასაფინანსებლად კონკურსის პირობების და ჩატარების წესი და ჩამოყალიბდეს ცვლილებების გათვალისწინებით შემდეგი სახით:

მუხლი 1. მოქმედების სფერო

წინამდებარე წესი განსაზღვრავს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში ,,უნივერსიტეტი") ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის (შემდგომში,,ფაკულტეტი") მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტ(ებ)ის დასაფინანსებლად კონკურსის ჩატარების წესს და პირობებს.

მუხლი 2. კონკურსის თემატიკა და ბიუჯეტი

1. ფაკულტეტის საბჭო ყოველი კონკურსის გამოცხადების წინ ადგენს მიმდინარე წლის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის სამეცნიერო-კვლევით თემატიკას ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე მოქმედი ყველა პროგრამის გათვალისწინებით.
2. მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების კონკურსში უპირატესობა მიენიჭება
   2.1 პრიორიტეტული მიმართულებით დარეგისტრირებულ პროექტებს.
   2.2 მაღალრეიტინგულ ჟურნალში დასაბეჭდად გათვალისწინებულ სამეცნიერო პუბლიკაციას.
3. პრიორიტეტული მიმართულებები დგინდება ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით.
4. მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში კონკრეტული სამეცნიერო-კვლევის (პროექტის) დაფინანსება ხორციელდება მხოლოდ კონკურსის საფუძველზე.
5. ფაკულტეტის ფარგლებში განსახორციელებელი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ბიუჯეტი და შესაბამისად, დაფინანსების მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრება არაუმეტეს 10000 ლარით. სამეცნიერო-კვლევითი პროექტ(ებ)ი ხორციელდება თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ადმინისტრირებით და ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის წარმომადგენლ(ებ)ის ხელმძღვანელობით.
6. მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევის ფინანსური უზრუნველყოფისათვის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიუჯეტიდან გამოიყოფა თანხა, რომელიც ნაწილდება გამარჯვებულ პროექტებს შორის.
7. პროექტის დაფინანსება განხორციელდება ტრანშებად, შემდეგი რიგითობით: პირველი ტრანში 30%, მეორე ტრანში 30%, ფინანსური და პროგრამული ანგარიშის წარდგენისა და დადებითი შეფასების საფუძველზე, ხოლო მესამე ტრანში 40% პროექტის წარმატებით დასრულების შემდგომ.
8. სამეცნიერო–კვლევითი პროექტი უნდა დასრულდეს მიმდინარე წლის დეკემბრამდე.
9. პროექტის დასრულებიდან 12 თვის განმავლობაში პროექტის მიმღებმა ჯგუფმა უნდა უზრუნველყოს იმის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენა, რომ ამ პროექტის ფარგლებში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომი უკვე დაიბეჭდა ან მიღებულია

დასაბეჭდად იმპაქტ-ფაქტორის მქონე peer- reviewed ჟურნალში; ან რეფერირებად/რეცენზირებად (რაც დასტურდება შესაბამისი საერთაშორისო კლასიფიკატორით ან სხვა საერთაშორისო დოკუმენტით) ელექტრონულ და/ან ბეჭდურ ჟურნალში (რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის, EBSCO-ს, ERIH PLUS-ის და Web of Science (WoS)-ის ბაზა. ბაზაში), ან საზღვარგარეთ გამოცემულ შესაბამის დარგობრივ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში (რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის, EBSCO-ს, ERIH PLUS-ის და Web of Science (WoS)-ის ბაზაში), ან საზღვარგარეთ გამოცემულ საერთაშორისო კონფერენციის მასალებში (ე. წ. Proceedings), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის, EBSCO-ს, ERIH PLUS-ის და Web of Science (WoS)-ის ბაზაში).

8. პროექტში ჩართული პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორის, სტუდენტის მიერ გაწეული სამუშაო ანაზღაურებადია.

9. პროექტში ჩართული პროფესორისა ან/და ასოცირებული პროფესორის ან/და ასისტენტ-პროფესორის ჯამური შრომის ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს პროექტის ბიუჯეტის 60 %-ს. პროექტით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის ან პროექტის მნიშვნელოვანი პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პროფესორისა ან/და ასოცირებული პროფესორის ან/და ასისტენტ-პროფესორის მიერ მიღებული შრომის ანაზღურება ექვემდებარება უკან დაბრუნებას.

10. პროექტში მონაწილე სტუდენტების თანხის ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს პროექტის ბიუჯეტის 20 %-ს.

11. პროექტის ბიუჯეტი უნდა ითვალისწინებდეს სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნების ხარჯებს.

მუხლი 3. კონკურსის გამოცხადება

1. ფაკულტეტის დეკანი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით), აცხადებს კონკურს და განსაზღვრავს საკონკურსო საბუთების მიღების ვადებს, ასევე განსაზღვრავს საკონკურსო საბუთების მიმღებაზე პასუხისმგებელ პირებს, კომისიის აპარატის შემადგენლობას.

2. განმცხადებელი ვალდებულია საბუთების მიმღებ აპარატს წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტაცია: ა)განცხადება (იხ. დანართი №1)

   ბ) სამეცნიერო კვლევითი პროექტის აღწერილობა;

   გ) კვლევითი პროექტის ხარჯთაღრიცხვა (სამივე ტრანშის ვადების მითითებით);

   დ)პროექტში მონაწილეთა CV;

   ე) პროექტში მონაწილე სტუდენტთა ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ და სასწავლო ბარათი (პროექტში მონაწილე სტუდენტი არ უნდა იყოს დამამთავრებელ სემესტრში);

3) სტუდენტთა წერილობითი თანხმობა პროექტში მონაწილეობის შესახებ (იხ. დანართი №2)

3. კონკურსში მონაწილეობის შესახებ ვადის დარღვევით წარმოდგენილი განცხადება მიღებას არ ექვემდებარება.

4. ამ მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრული სავალდებულო დოკუმენტაციის არასრულყოფილად/ხარვეზით წარმოდგენის შემთხვევაში საბუთების მიმღები აპარატი ახორციელებს განაცხადის მიღებას და აცნობებს უფლებამოსილ პირს ხარვეზის შესახებ, რომელიც ექვემდებარება გამოსწორებას არაუმეტეს საკონკურსო განაცხადებების მიღების ვადის ამოწურვიდან 2 სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში წარდგენილი განაცხადი არ განიხილება.

5. საკონკურსო განაცხადების მიღების დასრულების შემდგომ საბუთების მიმღები აპარატი გადასცემს მიღებულ საბუთებს შესაბამისი მიმართულების კომისიას.

მუხლი 4. კონკურსში მონაწილეობა

1. პროექტში მონაწილეობის უფლება აქვთ ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალს, ემერიტუსს, კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელს, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს.

2. თითოეულ პროექტში სავალდებულოა ფაკულტეტის არანაკლებ 2 სტუდენტის (პროექტის წარდგენისა და დაფინანსებაზე გადაწყვეტილების მიღებისას აქტიური სტატუსის მაგისტრატურისა ან/და დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტი) ჩართულობა.

3. პროექტს ჰყავს ხელმძღვანელი (აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი), რომელიც პასუხისმგებელია პროექტის მიმდინარეობაზე და ამასთანავე, ფაკულტეტის საბჭოს წინაშე ანგარიშის წარდგენაზე. ერთი და იგივე აკადემიური პერსონალი, ემერიტუსი და სტუდენტი არ შეიძლება მონაწილეობდეს ერთზე მეტ ფაკულტეტის მიერ დაფინანსებულ პროექტში.

4. პროექტის ხელმძღვანელის ან წევრის შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევების დროს, არგუმენტირებული დასაბუთების საფუძველზე.

მუხლი 5. კომისიის შემადგენლობა

1. გადაწყვეტილებას მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის დაფინანსების შესახებ იღებს ამ მიზნით შექმნილი კომისია.

2. კომისიის შემადგენლობა მტკიცდება ფაკულტეტის დეკანის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3. კომისია უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში საკონკურსო პროექტის შესაფასებლად მოიწვიოს ფაკულტეტის სხვადასხვა პროფილის აკადემიური პერსონალი.

4. კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდეს მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის მონაწილე - პირი.

5. თითოეული სხდომის შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 6. გადაწყვეტილების მიღების წესი

1. კომისია განიხილავს წარმოდგენილ სამეცნიერო-კვლევით პროექტებს და იღებს გადაწყვეტილებას მისი დაფინანსების შესახებ.

2. კომისია წარმოდგენილ სამეცნიერო-კვლევით პროექტებს აფასებს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: კვლევის აქტუალურობა და სიახლე, რამდენად მკაფიოდ არის აღწერილი პროექტის მიზნები, განსახორციელებელი ამოცანები, მოსალოდნელი შედეგები და მდგრადობა, რამდენად შეესაბამება პროექტში ჩართული პერსონალის პროფესიული განათლება და კვალიფიკაცია პროექტით დასახული კვლევის ეფექტიანად წარმართვისთვის, რამდენად ოპტიმალურად არის პროექტში დაგეგმილი დროითი, ადამიანური რესურსების გამოყენება და სხვა კრიტერიუმები, რომელსაც კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს.

3. კომისიის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

4. გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრის გზით. ყოველ პროექტს კენჭი ეყრება ინდივიდუალურად და კომისიის თითოეული წევრი ხმას აძლევს თითოეულ პროექტს. გამარჯვებულად გამოცხადდება და დაფინანსება ის პროექტი, რომელიც დააგროვებს ხმების უმრავლესობას არსებული ბიუჯეტის გათვალისწინებით.

5. კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება კვლევითი პროექტის ნაწილობრივ ან სრულად დაფინანსების შესახებ.

6. კომისია ვალდებულია საბუთების მიღების ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში მიიღოს გადაწყვეტილება.

7. კომისიის თავმჯდომარე ფაკულტეტის საბჭოს უახლოეს სხდომაზე, ფაკულტეტის საბჭოს წევრებს წარუდგენს ანგარიშს კონკურსის შედეგების შესახებ, რომელიც მტკიცდება ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით.

მუხლი 7. პროექტის მონიტორინგი

1. დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტის მიმდინარეობისა და შედეგებზე მონიტორინგს ახორციელებს კომისია.

2. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ხელმძღვანელი ვალდებულია, მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის მომდევნო ტრანშის მიღებამდე, კომისიას წარუდგინოს პროგრამული ანგარიში, ხოლო პროექტის დასრულებისთანავე - საბოლოო ანგარიში.

3. მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგების პრეზენტაცია უნდა ჩატარდეს ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ დადგენილი ფორმით.

4. კვლევითი პროექტის შედეგები უნდა განთავსდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ვებ გვერდზე -„სამეცნიერო პორტალი“ **(ამოღებულია).**

5. მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ფარგლებში შესრულებულ პუბლიკაციებში, მონოგრაფიაში და ა.შ, უნდა მიეთითოს, რომ კვლევა განხორციელდა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მხარდაჭერით.

6. ფაკულტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის დასაფინანსებლად კონკურსის პირობები და ჩატარების წესის მეორე მუხლის პუნქტი 9 შეუსრულებლობის შემთხვევაში გრანტის მიმღები (აკადემიური პერსონალი) ვალდებულია შესაბამის სახაზინო ანგარიშზე დააბრუნოს დახარჯული თანხა

მუხლი 8. დამტკიცება, ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

წინამდებარე წესის დამტკიცება, გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ფაკულტეტის საბჭოს მიერ.

მოისმინეს: მდგრადი განვითარების კვლევითი ცენტრის დებულების პროექტის დამტკიცების შესახებ

/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ.ლობჟანიძე/

დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა მ.ლობჟანიძემ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა მდგრადი განვითარების კვლევითი ცენტრის დებულების პროექტი:

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში ,,უნივერსიტეტი“) ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის (შემდგომში „ფაკულტეტი“) მდგრადი განვითარების კვლევითი ცენტრის (შემდგომში – ,,ცენტრი“) წარმოადგენს ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევით ერთეულს.

2. მდგრადი განვითარების კვლევითი ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტში მოქმედი სამართლებრივი აქტებით, ფაკულტეტის დებულებითა და წინამდებარე დებულების შესაბამისად.
3. ცენტრი ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის დეკანისა და ფაკულტეტის საბჭოს წინაშე, რომლებსაც წელიწადში ერთხელ წარუდგენს ანგარიშს წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შედეგების შესახებ.
4. ცენტრის მისამართია: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ.№2, X კორპუსი, ოთახი №510.

მუხლი 2. ცენტრის უფლებამოსილება

ცენტრი უფლებამოსილია განახორციელოს:

ა) კვლევითი და საგანმანათლებლო კონტაქტების დამყარება ადგილობრივ და უცხოურ ორგანიზაციებთან;

ბ) საერთაშორისო სასწავლო და კვლევით ერთეულებთან თანამშრომლობა;

გ) ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტიანად განხორციელების და სწავლების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ხელშეწყობა;

დ) განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა;

ე) მთარგმნელობითი საქმიანობა და პერიოდული სამეცნიერო გამოცემები;

ვ) სხვადასხვა ტიპის სამეცნიერო-პრაქტიკული და საგანმანათლებლო ღონისძიებების (კონფერენციები, სამეცნიერო სემინარები/ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები, საჯარო შეხვედრები, მრგვალი მაგიდა და სხვა) ჩატარება;

ზ) სასწავლო, სასერტიფიკატო კურსების ორგანიზება და ჩატარება;

თ) საერთაშორისო, სახელმწიფო, კერძო ან არასამთავრობო ორგანიზაციების სამუშაოების შესრულება გრანტით;

ი) კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის ინდივიდუალური აქტებით ნებადართული სხვა საქმიანობის განხორციელება.

მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა და უფლებამოსილებები

1. ცენტრს მართავს ხელმძღვანელი, რომელსაც ოთხი წლის ვადით ირჩევენ ცენტრის წევრები დამსწრეთა უმრავლესობით.

2. ცენტრის წევრები არიან ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი დაკვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები.

3. ცენტრი უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, თუ მას ესწრება წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ხოლო გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრე წევრების ხმათა უმრავლესობით.

4. ცენტრის ხელმძღვანელი:

ა) კოორდინაციას უწევს ცენტრში დაგეგმილი და განსახორციელებელი ღონისძიებების ეფექტიანად წარმართვას;

ბ) ცენტრის საქმიანობაში ჩართულ პირებს შორის ანაწილებს მოვალეობებს;

გ) აკონტროლებს ამ დებულებით ცენტრისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას;

დ) ახორციელებს ამ დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით და უნივერსიტეტის დადგენილი წესებით.

4. ცენტრის ხელმძღვანელის და ცენტრის წევრების საქმიანობა შეიძლება ანაზღაურდეს ცენტრის მიერ მოზიდული თანხებიდან.

მუხლი 4. ცენტრის ქონება

თავის ფუნქციების განსახორციელებლად ცენტრი სარგებლობს უნივერსიტეტის უძრავი და მოძრავი ქონებით.

მუხლი 5. ცენტრის ფინანსები

ცენტრის დაფინანსების წყაროებია:

ა) გრანტებისა და პროექტების საფუძველზე მიღებული შემოსავლები;

ბ) ხელშეკრულების შესრულებით მიღებული შემოსავლები;

გ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიზნობრივად ცენტრისათვის განკუთვნილი საჩუქრის სახით მიღებული შემოსავლები;

დ) კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

1. ცენტრის შექმნისა და გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭო.

2. ცენტრის დებულების დამტკიცება, გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

3. ცენტრის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის საკითხი რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი არ გამოთქმულა

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები, მომხრე -24

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს მდგრადი განვითარების კვლევითი ცენტრის დებულების პროექტი წარომდგენილი სახით

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ.

/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ.ლობჟანიძე/

დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა მ.ლობჟანიძემ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემა და მეცნიერ-ხელმძღვანელი:

1. ბერდია გათენაძე - „მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსური უზრუნველყოფის მექანიზმი საქართველოში "
   მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ლეილა ღუდუშაური
2. მამუკა ლეჟავა - ,,საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადების სრულყოფის გზები საქართველოში“
   მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მიხეილ ჩიკვილაძე
3. გივი ნადირაძე - ,,საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის გამოწვევები და ფინანსური შედეგები“
   მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ხათუნა ბარბაქაძე

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არ გამოთქმულა

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები, მომხრე -24

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემა და მეცნიერ-ხელმძღვანელი:

1. ბერდია გათენაძე - „მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსური უზრუნველყოფის მექანიზმი საქართველოში "
   მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ლეილა ღუდუშაური
2. მამუკა ლეჟავა - ,,საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადების სრულყოფის გზები საქართველოში“
   მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მიხეილ ჩიკვილაძე
3. გივი ნადირაძე - ,,საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის გამოწვევები და ფინანსური შედეგები“
   მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ხათუნა ბარბაქაძე

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში ცვლილებების შესახებ

/საბჭოს თავმჯდომარე, დეკანი, პროფესორი გიორგი ღაღანიძე/

VI. მაგისტრატურის საფეხურზე, სასწავლო მოდულის ფუნქციონირებისათვის სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ (სტუდენტების მინიმალური ქვოტა)[1]

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების, ეკონომიკის და ტურიზმის სამაგისტრო პროგრამებზე მოდულების შექმნისთვის აუცილებელია არანაკლებ 3 სტუდენტი, გამონაკლის შემთხვევაში, პროგრამის საჭიროებიდან გამომდინარე, დასაშვებია ჯგუფი გაიხსნა 1 სტუდენტზე.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა გ.ღაღანიძე ,ასოცირებულმა პროფესორმა ნატლია ხარაძემ

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები, მომხრე -23

წინააღმდეგი -1

დაადგინეს: მაგისტრატურის საფეხურზე, სასწავლო მოდულის ფუნქციონირებისათვის სტუდენტების რაოდენობა განისაზღვროს მოთხოვნის შესაბამისად.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში ცვლილებების შესახებ

/საბჭოს თავმჯდომარე, დეკანი, პროფესორი გიორგი ღაღანიძე/

საბჭოს თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში ცვლილებები. აღნიშნული ცვლილებები გასაცნობად საბჭოს წევრებს დაეგზავნათ წინასწარ

აზრი გამოთქვეს: ასოცირებულმა პროფესორმა ნ.ხარაძემ

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები, მომხრე -24

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში ცვლილებები და საბოლოოდ ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

დანართი 1

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესახებ

---

[1] *ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს ოქმი №16, 19.11.2018*

დატვირთვების, ძირითადი და დამატებითი საათების განაწილების, გაცდენილი ლექცია-სემინარების აღდგენის, მაგისტრატურაში სასწავლო მოდულების ფუნქციონირების, არჩევითი სასწავლო კურსების შესახებ

გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.ძირითადი საათები - აკადემიური პერსონალის კვირეული დატვირთვა, განსაზღვრული შეგამისი კატეგორიის კონტრაქტით.

2.დამატებითი საათები - აკადემიური პერსონალის კვირეული დატვირთვა, შესაბამისი კონტრაქტით განსაზღვრული კვირეული დატვირთვის ზევით.

3. I ეტაპისათვის გადაცემული სასწავლო საათები - სასწავლო საათების ზღვრული რაოდენობა, რომელიც დაადგინა სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა, გამომდინარე სასწავლო ცხრილებიდან, სტუდენტთა რაოდენობიდან და წინა წლების სტატისტიკიდან.

4. II ეტაპისათვის გადაცემული სასწავლო საათები - სასწავლო საათების დაზუსტებული რაოდენობა, რომელიც აღემატება I ეტაპზე გადაცემულ სასწავლო საათების რაოდენობას. მე-II ეტაპის გახსნა განპირობებულია: ა) მობილობით გადმოსულ სტუდენტთა რაოდენობით; ბ) სტუდენტთა ინდივიდუალური განცხადებებით (დამატებითი სემესტრი, სტატუსის ცვლილება და ა.შ.)

I. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისთვის კათედრებზე არსებული <u>სავალდებულო დატვირთვის საათების</u> განაწილების წესი

1. კათედრებმა სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ I ეტაპისთვის გადაცემული სასწავლო საათები[2] (კვირეული დატვირთვა) პირველ რიგში უნდა გაანაწილონ აკადემიურ პერსონალზე (აფილირებული აკადემიური პერსონალი „ა“ კატეგორიის კონტრაქტი) მათი სავალდებულო დატვირთვის შესრულების მიზნით.[3] I ეტაპის და II ეტაპის გაუნაწილებელი საათები უნდა გაანაწილდეს როგორც აკადემიურ, ასევე, მოწვეულ პერსონალზე.

---

[2] ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ტურიზმის სკოლის ჩათვლით.

[3] თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება N17, 09/02/2021. დანართი 3

2. აკადემიურ პერსონალზე, გარდა იმ პერსონალისა, რომელსაც უკავია ადმინისტრაციული და დამხმარე-ადმინისტრაციული თანამდებობები, ლექცია -სემინარების განაწილება არ განხორციელდეს შაბათ დღეზე.

II. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისთვის არსებული <u>დამატებითი საათების</u> განაწილების წესი

1. დამატებითი საათები არ მიეცემა: ა) აკადემიურ პერსონალს, რომელსაც თსუ-ში აკადემიური თანამდებობის პარალელურად უკავია ადმინისტრაციული ან დამხმარე პერსონალის საშტატო ერთეული; ბ) აფილირებულ აკადემიურ პერსონალს -„ბ“ კატეგორიის კონტრაქტით.
2. თსუ-ს სხვა ფაკულტეტზე სასწავლო კურსების წასაკითხად მიწვეული ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისთვის განაწილებული საათები არ გაითვალისწინება ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის სასწავლო დატვირთვაში (ძირითადი და დამატებითი) და შესაბამისად, მათზე, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიუჯეტიდან შრომითი ანაზღაურება არ გაიცემა.
3. თუ აკადემიური პერსონალი შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრში ვერ ახდენს ძირითადი დატვირთვის შესრულებას, მაშინ გამონაკლისის სახით, შეიძლება მას დატვირთვა შეევსოს სხვა ფაკულტეტზე წაკითხული სასწავლო კურსის საათებიდან.
4. აკადემიური პერსონალისთვის ძირითადი და დამატებითი სააუდიტორიო საათების საერთო რაოდენობა კვირაში (<u>ასიმეტრიული დატვირთვის გარეშე</u>) არ უნდა აღემატებოდეს: პროფესორი - 16 საათს (8 სთ. + 8 სთ.); ასოცირებული პროფესორი - 18 საათს (10 სთ. + 8 სთ.); ასისტენტ-პროფესორი - 20 საათს (12 სთ.+ 8 სთ.); უფროსი მასწავლებელი/მასწავლებელი - 20 საათს (12 სთ.+ 8 სთ.).[4]
5. აკადემიური პერსონალისთვის ძირითადი და დამატებითი საათების საერთო რაოდენობა სემესტრში, <u>ასიმეტრიული დატვირთვის შემთხვევაში</u> (იგულისხმება კათედრა ან აკადემიური პერსონალი, რომელსაც სასწავლო დატვირთვის 80%-ზე მეტი აქვს ერთ სემესტრში) არ უნდა აღემატებოდეს: პროფესორი - 20 საათს (12 სთ. + 8 სთ.); ასოცირებული

[4] აღნიშნული შეზღუდვა ვრცელდება, როგორც ანაზრაურებად, ასევე არაანაზღაურებად საათებზე და ადგენს აკადემიური პერსონალის კვირეული საათობრივი დატვირთვის ზედა ზღვარს.

პროფესორი - 24 საათს (16 სთ. + 8 სთ.); ასისტენტ-პროფესორი - 28 საათს (20 სთ. + 8 სთ.); უფროსი მასწავლებელი/მასწავლებელი - 28 საათს (20 სთ. + 8 სთ.).[5]

6. <u>ასიმერტიული დატვირთვის გამონაკლისი შემთხვევა.</u> გამონაკლის შემთხვევაში კათედრის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით შესაძლებელია აკადემიურმა პერსონალმა შეასრულოს ორივე სემესტრის **ძირითადი დატვირთვის** საათები შემოდგომის სემესტრში (მაგალითად, სასწავლო კურსები, რომელსაც აკადმიური პერსონალი უძღვება ძირითადად, მხოლოდ ერთ სემესტრში ისწავლება), ამ აკადემიურ პერსონალს მეორე, გაზაფხულის სემესტრში აქვს უფლება აიღოს მხოლოდ დამატებითი საათები (არაუმეტეს 16 საათისა).[6]
7. აკადმიურ/მოწვეულ პერსონალს შორის დამატებითი საათების განაწილებას განახორციელებს კათედრის ხელმძღვანელი.
8. ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში განახორციელებს აკადემიური პერსონალის დატვირთვების მონიტორინგს და საბოლოო ბორმირებას (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულება მუხლი12, პუნქტი 4, ქვეპუნქტი „ა“);

III. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის <u>დამხმარე პერსონალისთვის</u> სასწავლო საათების განაწილების წესი[7]

1. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დამხმარე საშტატო თანამდებობებზე მომუშავე პერსონალისთვის საათების განაწილებისას, მათი ძირითადი საშტატო ფუნქციიდან გამომდინარე, გათვალისწინებულ უნდა იქნას შემდეგი წესი:
   1.1. სასწავლო დატვირთვა ძირითადად გადანაწილდეს შაბათ დღეზე;
   1.2. კვირის სხვა დღეებზე სააუდიტორიო საკონტაქტო საათები უნდა შეაგდენდეს არაუმეტეს 2 საათს დღეში (გამონაკლისი დაიშვება საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, მაგალითად, თუ პრაქტიკული/სემინარული მეცადინეობა არის 3 საათი);
   1.3. კვირაში საათების საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 14 საათს.

---

[5] *აღნიშნული შეზღუდვა ვრცელდება, როგორც ანაზრაურებად, ასევე არაანაზღაურებად საათებზე და ადგენს აკადემიური პერსონალის კვირეული საათობრივი დატვირთვის ზედა ზღვარს*

[6] *აღნიშნული შეზღუდვა ვრცელდება, როგორც ანაზრაურებად, ასევე არაანაზღაურებად საათებზე და ადგენს აკადემიური პერსონალის კვირეული საათობრივი დატვირთვის ზედა ზღვარს*

[7] *ეკონომიკისა და ბიზნესის* ფაკულტეტის საბჭოს *ოქმი №16, 19.11.2018*

IV. *ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის <u>მოწვეული პერსონალის შერჩევისა და</u> სასწავლო საათების განაწილების წესი*

1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე მოწვეული პერსონალის შერჩევა უნდა განხორციელდეს თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე (№119/2018, 30.04.2018). აღნიშნული წესით (მუხლი 3, პუნქტი 2), პროგრამის/კათედრის ხელმძღვანელი მოწვეულ კანდიდატებს, შესაბამისი დასაბუთებით, წარუდგენს ფაკულტეტის დეკანს, რომელიც თავის მხრივ, თანხმობის შემთხვევაში, შრომითი ხელშეკრულების გაფორმების მიზნით შუამდგომლობით მიმართავს თსუ რექტორს.
2. დეკანის მიერ, მოწვეულ პერსონალზე მიღებული უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში კათედრის ხელმძღვანელი ვალდებულია წარმოადგინოს ალტერნატიული კანდიდატურა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ფაკულტეტის დეკანი ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურთან ერთად უზრუნველყოფს შესაბამისი პერსონალის მოწვევას.
3. მოწვეული პერსონალისთვის კვირეული დატვირთვის მაქსიმალური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 14 აკადემიურ საათს. მოწვეული პერსონალი არ უნდა უძღვებოდეს (ატარებდეს სემინარულ მუშაობას) 3-ზე მეტ სასწავლო დისციპლინაში.[8]

V. აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის სწავლების სამივე საფეხურზე დღიური საათობრივი დატვირთვის განსაზღვრის შესახებ[9]

1. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის (გარდა დამხმარე პერსონალისა) დღიური საათობრივი დატვირთვა, სწავლების სამივე საფეხურის გათვალისწინებით, განისაზღვროს არაუმეტეს 10 საათისა.

---

[8] *ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს ოქმები: №7, 30.11.2012; №16, 19.11.2018*

[9] *ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს ოქმი №16, 19.11.2018*

VI. მაგისტრატურის საფეხურზე, სასწავლო მოდულის ფუნქციონირებისათვის სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ (სტუდენტების მინიმალური ქვოტა)[10]

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების, ეკონომიკის და ტურიზმის სამაგისტრო პროგრამებზე მოდულების შექმნისთვის სტუდენტების რაოდენობა განისაზღვროს მოთხოვნის შესაბამისად.

VII. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე არჩევითი სასწავლო კურსების მაქსიმალური რაოდენობის განსაზღვრის შესახებ [11]

1. მაგისტრატურის საფეხურზე არჩევითი სასწავლო კურსების მაქსიმალური რაოდენობა სემესტრში არ უნდა აღემატებოდეს 5-ს.
2. თუ საგანმანათლებლო პროგრამა სემესტრში ითვალისწინებს ერთი არჩევითი სასწავლო კურსის გავლას (მაგალითად, 5 კრედიტის მოცულობის), მაშინ პროგრამით სემესტრში უნდა იყოს შეთავაზებული იყოს არაუმეტეს 3 არჩევითი სასწავლო კურსი, ხოლო 2 არჩევითი სასწავლო კურსის გავლის შემთხვევაში (მაგალითად, 10 კრედიტის მოცულობის) პროგრამით შეთავაზებული უნდა იყოს იყოს არაუმეტეს - 5 არჩევითი სასწავლო კურსი.

VIII. არჩევითი სასწავლო კურსების განაწილების წესი[12]

1. მაგისტრატურის საფეხურზე, ყოველ სემესტრში, საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად, გაიხსნება ის არჩევითი სასწავლო კურსები, რომლებიც უნდა წარმოადგინოს კათედრის/პროგრამის (მოდულის) ხელმძღვანელმა შესაბამისი ქვოტების (სტუდენტების რაოდენობა) მითითებით.
2. კათედრის/პროგრამის (მოდულის) ხელმძღვანელმა უნდა წარმოადგინოს არანაკლებ ორი არჩევითი სასწავლო კურსი.
3. თუ, კათედრის/პროგრამის ხელმძღვანელი არ მიიჩნევს საჭიროდ საგანმანათლებლო პროგრამით წარმოგენილი არჩევითი სასწავლო კურსებისა და მის შესაბამისად ქვოტების (სტუდენტების რაოდენობა) წარმოდგენას, არჩევითი სასწავლო კურსები გაიხსნება ჩვეულებრივი წესით (მოდულის სტუდენტების რაოდენობის შესაბამისად).
4. კათედრის/პროგრამის (მოდულის) ხელმძღვანელების მიერ არჩევითი სასწავლო კურსების შესაბამისად წარმოდგენილი ქვოტების ზემოთ სტუდენტების რაოდენობის დამატება ჯგუფებში განხორციელდება კათედრის/პროგრამის

---

[10] *ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს ოქმი №16, 19.11.2018*
[11] *ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს ოქმი №16, 19.11.2018*
[12] *ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს ოქმი №7, 19.04.2019*

ხელმძღვანელთან წინასწარი შეთანხმებით იმ შემთხვევებში, როდესაც სტუდენტმა დადგენილ ვადებში ვერ გაიარა ადმინისტრაციული რეგისტრაცია საპატიო მიზეზით (მობილობა, დამატებითი სემესტრი, ფინანსური პრობლემა და სხვა).

5. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტმა ვერ გაიარა აკადემიური რეგისტრაცია და ითხოვს მისთვის სასურველ არჩევით სასწავლო კურსს, ან არჩეული სასწავლო კურსის ცვლილებას, ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახური საკითხს განიხილავს კათედრის/პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად და შეთანხმების შემთხვევაში მოხდება არჩევითი სასწავლო კურსის დარეგისტრირება ადმინისტრაციულად.
6. მაგისტრატურის საფეხურზე, ქვოტების (სტუდენტების რაოდენობა) განსაზღვრა შესაძლებელია მესამე (შემოდგომის) სემესტრში, როდესაც წინასწარ ცნობილია მოდულებში სტუდენტების ზუსტი რაოდენობა. მეორე (გაზაფხულის) სემესტრში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვს მოდული და შესაბამისი სასწავლო კურსები აირჩიოს აკადემიური რეგისტრაციის პერიოდში.

IX. გაცდენილი ლექცია-სემინარების აღდგენის წესის შესახებ

1. აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ საპატიო მიზეზით (ავადმყოფობა, სხვა ობიექტური მიზეზი, წლის კალენდარით გათვალისწინებული უქმე დღეები)[13] ლექცია-სემინარების გაცდენის შესახებ ინფორმაცია წინასწარ წერილობით (განცხადება) უნდა ეცნობოს ფაკულტეტის ადმინისტრაციას, რომელშიც კათედრის გამგის რეზოლუციით, მითითებული უნდა იყოს ლექცია-სემინარების აღდგენის გრაფიკი ან კონკრეტული პედაგოგი, რომელიც ჩაანაცვლებს აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს; თუ, ვერ ხერხდება წინასწარ განაცხადის გაკეთება, მაშინ კათედრა ვალდებულია ფაკულტეტის ადმინისტრაციას ინფორმაცია ელ. ფოსტით ან სატელეფონო შეტყობინებით მიაწოდოს დროულად.
2. თუ, სემესტრის განმავლობაში, აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ ლექცია-სემინარების გაცდენა/ჩანაცვლება სხვა პედაგოგით სისტემატიურ ხასიათს ატარებს (ავადმყოფობის საპატიო მიზეზის ან სამეცნიერო მივლინების გარდა), მაშინ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ფაკულტეტის ადმინისტრაცია წერილობით აცნობებს შესაბამის კათედრას. კათედრის ხელმძღვანელი ვალდებულია ფაკულტეტის დეკანს წარუდგინოს ახსნა-განმარტება გაცდენის მიზეზთან დაკავშირებით და მოახდინოს პრობლემის აღმოფხვრა, რათა აკადემიურმა/მოწვეულმა პერსონალმა დაიცვას შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები. წინააღმდეგ შემთხვევაში, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს, თსუ-ში მიღებული წესის ფარგლებში, დაეკისრება პასუხისმგებლობა კონტრაქტის პირობების დარღვევასთან დაკავშირებით.
3. ფაკულტეტის ყველა თანამშრომელი ვალდებულია დაიცვას უნივერსიტეტში მოქმედი სამართლებრივი აქტები და შეასრულოს, მასზე, მოცემული წესით, ფაკულტეტის

---

[13] *თსუ რექტორის ბრძანება 95/01-01, 20.07.2012*

დებულებით და უნივერსიტეტის სხვა შესაბამისი შიდასამართლებრივი აქტებით დაკისრებული უფლება-მოვალეობები.

4. აკადემიური პერსონალის, მასწავლებლის, მოწვეული პერსონალის მიერ სალექციო/პრაქტიკული/ლაბორატორიული და სხვა სააუდიტორიო საათის (საათი) გაცდენის თითოეულ ფაქტზე დაწესებულების უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელი ადგენს წერილობით დოკუმენტს, რომელშიც ფიქსირდება გამცდენის სახელი და გვარი, საგანმანათლებლო ერთეულის დასახელება, გაცდენილი საათი. წერილობითი დოკუმენტის ჩანაწერის სისწორე შესაძლებელია ასევე დასტურდებოდეს შესაბამისი საგანმანათლებლო ერთეულის ხელმძღვანელის ან სხვა უფლებამოსილი პირის, ან თსუ-ს სხვა თანამშრომლის ხელმოწერით.
5. უნივერსიტეტის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის მოთხოვნის საფუძველზე, აკადემიური პერსონალი, მასწავლებელი, მოწვეული პერსონალი ვალდებულია მოთხოვნიდან ერთი კვირის ვადაში წარმოადგინოს განმარტება საათის გაცდენის მიზეზების შესახებ, ხოლო შესაბამისი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეული - ამ საათის აღდგენის მიზნით გატარებულ ღონისძიებათა შესახებ.
6. აკადემიური პერსონალი, მასწავლებელი, მოწვეული პერსონალი ვალდებულია უზრუნველყოს თითოეული საპატიო მიზეზით გაცდენილი საათის აღდგენა მიმდინარე სემესტრის განმავლობაში. აღნიშნული პირობის შეუსრულებლობა წარმოადგენს შეუსრულებელი ვალდებულების გამო ანაზღაურების შესაბამისი ოდენობის დაქვითვისა და დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველს, რასაც დაწესებულების მხრიდან ასევე შესაძლებელია მოყვეს შინაგანაწესით დადგენილი პასუხისმგებლობის ზომების გამოყენება მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე შინაგანაწესით დადგენილი წესით.
7. აკადემიური პერსონალის, მასწავლებლის, მოწვეული პერსონალის მიერ შესაბამისი საათის არასაპატიო მიზეზით გაცდენა განიხილება შინაგანაწესისა და შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევად და უნივერსიტეტი უფლებამოსილია ამ მიზეზით განიხილოს შესაბამისი პერსონალის დისცილინური პასუხისმგებლობის საკითხი, ამასთან, აღნიშნულ შემთხვევაში შესაბამისი პერსონალი ვალდებულია უზრუნველყოს თითოეული გაცდენილი საათის აღდგენა მიმდინარე სემესტრის განმავლობაში. აღნიშნული პირობის შეუსრულებლობა წარმოადგენს შეუსრულებელი ვალდებულების გამო ანაზღაურების შესაბამისი ოდენობის დაქვითვისა და დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველს, რასაც დაწესებულების მხრიდან 7 შესაძლებელია მოყვეს შინაგანაწესით დადგენილი პასუხისმგებლობის ზომების გამოყენება მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე შინაგანაწესით დადგენილი წესით.
8. სასწავლო ცხრილით გათვალისწინებულ საათებში სტუდენტთა გამოუცხადებლობის შემთხვევაში, აკადემიური პერსონალის, მასწავლებლის, მოწვეული პერსონალის მიერ შესაბამისი საათის გაცდენა ჩაითვლება საპატიოდ, თუ ის შესაბამისი სალექციო/პრაქტიკული/ლაბორატორიული კურსის პირველი 20 წუთი იმყოფებოდა აუდიტორიაში.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა-დამტკიცების შესახებ

/საბჭოს თავმჯდომარე, დეკანი, პროფესორი გიორგი ღაღანიძე/

პროფესორმა გ.ღაღანიძემ საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი. საბჭოს წევრებს ბიუჯეტის პროექტი წინასწარ დაეგზავნათ გასაცნობად

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა გ.ღაღანიძემ, ასოცირებულმა პროფესორმა ნ.ხარაძემ

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები, მომხრე - 24

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: **დამტკიცდეს** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი წარმოდგენილი სახით დანართის შესაბამისად.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის

საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი გ.ღაღანიძე

მდივანი, ასოცირებული პროფესორი მ.ბაისურაძე